საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 13

03 მაისი 2023 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის" საკუთრებაში არსებული ერთ ლოტში გაერთიანებული, მოძრავი ქონების განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2020 წლის 29 მაისის N 8/7 დადგენილების, ინდივიდუალური აუდიტორის თამაზ ბუკიას, 2022 წლის 05 დეკემბრის N-913/02 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, 2023 წლის 25 აპრილის, N 42-422311539 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს ერთ ლოტში გაერთიანებული, განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის" (ს/კ 215140318) საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, 4 (ოთხი) ერთეული პიანინოს პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის" საკუთრებაში არსებული, ერთ ლოტში გაერთიანებული მოძრავი ქონების, 4 (ოთხი) ერთეული პიანინოს საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 204.00 (ორას ოთხი) ლარით, „ბე" განისაზღვროს 61.20 (სამოცდაერთი ლარი და ოცი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 20.40 (ოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 04 მაისის 15:00 საათიდან, 2023 წლის 18 მაისის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება აუქციონატორსა და დაწესებულების ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის" შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის“ ანგარიშზე, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის“ შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ სახაზინო კოდზე 742717499.

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 11. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის“ დირექტორის მოადგილეს ოთარ გურასპიშვილს.

მუხლი 13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

შუშანა ეჯიბია